136
1992

15 – 16

ნიაღვერი

ISSN 0132-6015
აგვისტო
1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუუვიათავი ბორბალს —
გვარგვეს, გვხოცავს, გვაჭცევს
საქართველოს სატერორო
ტერიტორიაზე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკვრა, ვეკვრეთ!..

ნახევრად სალაღობო სტროფები, წაკითხული **ნოდარ დუმბაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო საღამოზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 1992 წლის 14 ივნისს

მხურვალედ მივესალმები
თქვენთან ამნაირ შეხვედრას! —
გვ ე ლ მ ო ქ მ ე დ ებ ას ნამდვილად
სჯობია ქველმოქმედება!

ყველამ იცით და არ ვიტყვი,
ნოდარ დუმბაძე ვინ არის!
მივყვები სახელდახელოდ
დაწერილ სტროფთა მდინარეს:

ცხრა წელს ვიშრომე „ნიანგის"
მთავარ რედაქტორ ნოდართან!..
გული არ მითმენს, ახლავე
ერთ შემთხვევაზე რომ არ ვთქვა:

„რასაც დაგავალებ, იმას
დროზე თუ არ გააკეთებ,
გაგათავისუფლებ, ძმაო!" —
მკაცრად გამაფრთხილა ერთხელ!

შევეკითხე: „ნუ გამწირავ!
ნოდარ, შენ ხარ ჩემი ღმერთი! —
მე დამტოვე, საქართველო
გაათავისუფლე-მეთქი!"

პატივი დაგვდეთ, მობრძანდით
ამ საღამოზე რადგანაც, —
თუ რა დღეში ვართ, თუ რა გვჭირს,
ცხოვრება რამ ჩაგვაშხამა,
როგორ არიან, რას იქმან
ნოდარის გმირნი ამჟამად, —
ვიტყვი, თუკი არ მეროლეს
ავტომატი ან შაშხანა!..

...რა გითხრა, რით გაგახარო,
ნოდარ დუმბაძეო, უკვდავო?! —
იძალა ბ ო რ ო ტ ებ ამ ა,
თავზარს გვცემს, სულთამხუთავობს!..

შემზარავ-ამაზრზენია,
გუშინ რაც მოხდა თბილისში!..
ის კ ა ე ნ-კ ა ნ ი ბ ა ლ ე ბ ი
ხვალ რას გვიზამენ, ვინ იცის?!.

სხვა კანონებზე რაღა ვთქვა, —
ჩაყრილში ნავში ქარონის, —
როს ჩვენში აღარ კანონობს
მარადისობის კანონიც!..

ახალ ოსვენციმს გვიწყობენ
ზოგი აფხაზიც, ოსიცა!..
და რუსი სოსოიესი
იმ აფხაზსა და ოსს იცავს!..

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა,
დარი არ დარობს დარულად",
გამართული გვაქვს ძმათაკვლის,
მტრობის და შურის მარულა!..

... ჩვენს სხეულებზე მძიმეა
რადგანაც ჩვენი სულები,
არ შეგვიძლია რადგანაც
მარტოკებს მათი ტარება, —
კვლავ ამოვხადოთ ერთმანეთს
სულნი, ზედმეტნი სრულებით
და ამით შევუმსუბუქოთ
ურთიერთს ტანჯვა-წამება!..

დავცალკევდით და დავკენტდით,
ერთმანეთს ვუმზერთ მტრულადა!..
ძალლი რომ პატრონს ველარ ცნობს,
გაცოფდა შენი მურადა!..

რომ ყოფილიყავ ცოცხალი
დღეებში იმა სიმხეცის,
შეიძლებოდა, მეორედ
მოხვედრილიყავ ციხეში!..

ველარ შევრიგდით! — ურთიერთს
ვულრენთ, ვით ავი ძაღლები!
წითელი დავწვით, არა გვაქვს
ჯერ თეთრი ბაირაღები!..



ვაპროდირებ საყვარელ
ბასილაიას სიმღერას,
თან იუბილეს ვულოცავ
და მეტს ვუსურვებ დიდებას!

„უელს მოგვჭერია ბაწარი
საქართველოზე დარდისა!..
...რა ტკბილია და რა მწარე
საათი კომენდანტისა!..

შიშით ველარ ვყოფთ ცხვირს კარში! —
სროლაა დილა-საღამოს!..
...ქართველმა ერმა სიზმარში
თავისუფლება ნახაო!.."

გახშირდა ტერორისტების,
დივერსანტების თარეში!..
ქურდს მზიანი დღე არ ჰყოფნის
და ქურდობს მზიან ღამეშიც!..

საგურამოში რომ მოგცეს, —
ის აგარაკი პატარა, —
შვიდჯერ გატეხა ორფეხა
ნადირ-ნაკაცარ-სატანამ
და გაიტანა იქიდან,
ისურვა რისი გატანაც!..

ილარიონი გათოკეს!..
ოლღას წაართვეს ფაქიზო!..
ილიკოს გამტაცებელი
ყაჩაღი ქვეყნის ფასს ითხოვს!..

დააძვალრბილეს ბაბილო!..
დააუთოვეს კაკანო!..
წაღლიტეს სარჩო სიმინდი,
არ დაუტოვეს კაკალიც!..

ბეუანა გადარეულმა
შექმნა ახალი პარტია,
სპიკერად თვითონ დაბრძანდა,
მდივნად ბრმა დასვა — ხატია!..



პროტესტის ნიშნად შიმშილობს,
გაფიცვებს აწყობს ებიბო
და უსანქციო მიტინგებს
ატარებს ტყეში დათიკო!..

ზაბლონა მასწავლებელმა
დატოვა სკოლა, საბლ-კარი
და ბიზნესმენებს, რუსულის
ნაცვლად, ინგლისურს ასწავლის!..

დიდრო გროსმაისტერია
დანებით ჩაის კრეფაში!..
ბაჩანას, ორი წელია,
არ მიუღია ხელფასი!..

ლიმონა ყიდის „ლიმონკებს“,
ავტომატებს და შაშხანებს!..
ჯერ ფაქტზე ვერ დაიჭირეს,
ამბობს: „მაგასო არ ვჭამ მე!“

მებურიშვილმა გაგვიხსნა
ბიურო კუბო-საფლავთა!..
კუბოს — ასად და საფლავს კი
აფასებს სამას ათასად!..

შენ რომ მესაზღვრედ იყავი,
საბაუო გახსნეს იმ სარფში! —
გამდიდრდნენ მებაჟეები,
ზღაპრული ნახეს იქ ხარფა!..

მარგო თურქეთში ვაჭრობდა
ტყვია-წამლით და... სხეულით!..
ამჟამად რიზეს ციხეში
ჰყავთ თურქებს გამომწყვდეული!..

მურტალო სხვა გზას დაადგა —
ებრძვის მომავალ არჩევნებს! —
აფეთქებს ხიდებს, გვირაბებს
და მატარებლებს აჩერებს!..

რომ დაგვინახა ამ დღეში,
გვერდით დაგვიდგა ტიგრანა!..
შოშია მოსკოვს გაფრინდა
და იქ ჩალიჩობს!.. გვიგანა!..

გათავისუფლდა გოგოლიც
ამ ამნისტიის შელოცვით
და რევიზორად მოეწყო
მშობლიურ სამეგრელოში!..

ზურიკო ვაშალომიძე
ეროვნულ არმიაშია! —
ყოველმხრივ სამაგალითო,
მებრძოლი ჯარისკაცია!..



ზაზა მუშაობს შინაგან
საქმეთა სამინისტროში,
გამოირჩევა საქმითა,
სიმართლითა და სითბოთი!..

კუკარაჩა კი ერთგულად
ილვწის ჩვენს პოლიციაში! —
პატრონს უპოვა, გადასცა
გატაცებული „ფიატი“!..

მამა იორამს ატარებს
ცისფერი „ვოლგით“ ბულიკა, —
მორწმუნე გახდა, იწამა
ღმერთი სულით, და გულითა!..

მოშიაშვილი აშდოდში ცხოვრობს,
ქართველებს გვაღმერთებს
და გვეხმარება იქიდან —
გვიგზავნის მედიკამენტებს!..

ქართველი ერი კვლავ რჩება
იმ დაჭრილ, ბეჩავ არწივად
და ეომება ყვავ-ყორნებს,
არც მომკვდარა და არც ხძინავს!..

თავი ვანებოთ ერთურთის
ხოცვას და ცილისწამებას! —
გავწამდით, ღამით არ გვძინავს,
არცა გვაქვს ძილის წამლები!..

შევრიგდეთ, გავერთიანდეთ,
საერთო ენა მოვნახოთ!..
ერთად ვიმღეროთ „წინწყარო“,
„ხელხვავი“, „შენ ხარ ვენახი!“

თუ ეს არ ვქენით, არასდროს
არ დაგვადგება საშველი!..
შვილმოკლულს „ნუ გეშინია,
დედა!“ — ამის თქმა არ შველის!..

თუმც ჩვენც ვართ დამნაშავენი
იმაში, ახლა რაცა გვჭირს,
მაინც არ გადავშენდებით,
გავუძლებთ ყველა გასაჭირს!..

ძვირფასო ნოდარ, მოსილო
სიყვარულით და დიდებით,
ო, რომ იცოდე, დღეს მამულს
ცოცხალი როგორ სჭირდები!..

გყავს ოქროშვილიშვილები,
მეუღლე — შეუდარები!..
შენს ქალიშვილებს შიგდაშიგ
შენსავით უჭრით ყალმები!..



კაცთა გულების ყინული,
კაცთა სულების სიცივე
შენ გაალხვე და გაათბე
ცრემლებნარევი სიცილით!..

საქვეყნოდ სახელგანთქმული
ლორთქიფანიძე გიგათიც, —
ვინც სცენა-ეკრანს მოგფინა, —
გახდი შემოქმედ-გიგანტი!..

ნოდარ დუმბაძე, მწერალო
„კრიმინო“ გენიალურო,
ვერ დაგამცირებს ვერავინ,
სანამ მამული მამულობს!..

ქართველო ერო, ობოლო,
ერო, დაჭრილო არწივო,
არ შეიძლება, რომ ბოლოს
კეთილმა ბოროტს არ სძლიოს!

დასასრულ, ნება მიბოძეთ, ნოდარ დუმბაძის ახალჩამოყალიბებულ ფონდს „ნიანგის“ რედაქციის კოლექტივის, სარედაქციო კოლეგიისა და ყველა ნიანგელის სახელით საჩუქრად გადავცე მხატვარ ზურაბ ფორჩხიძის მიერ შესრულებული ნოდარის პორტრეტი, ქვეწარწერილი ჩემი ლექსით:

მარადისობით
მოდარდულ ცაზე
ცრემლად ციმციმებს
ნოდარ დუმბაძე
და წინ მიბვიძლვის
მისთა მოძმეთა
წიგნად, ხომალდად,
სკოლად, პროსპექტად!..

ზაურ ბოლქვაძე

ილუსტრაციები ჯემალ ლოლუასი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიცინით-ვინ



— ასანთის დეფიციტი თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს შტატებს ნამდვილად გააუქმებენ!



„საპახმელიო“ სათამაშო აპარატი

— კაცო, რა არის ძვირი?! თურქეთიდან მყავს ჩამოყვანილი და იმიტომ ვყიდი კომერციულ ფასად!..
(თემები გივი პეტრიაშვილისა)

ქანცგაწყვეტილ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგახსენებთ, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დავიწყე მუშაობა აქა და აქ. იქიდან გადავედი იქა და იქ. ამა და ამ წლიდან ამა და ამ წლამდე დავყავი ამა და ამ ადგილას, იმა და იმ წლიდან იმა და იმ წლამდე — იქა და იქ. იმა და იმ წლებში მეკავა ესა და ის პოსტი, ამა და ამ წლებში — ესა და ეს. ამა და ამ წლიდან ამა და ამ წლამდე განვაგებდი ამა და იმას, იმა და იმ წლიდან იმა და იმ წლამდე — იმა და იმას. ამა და ამ წლებში სათავეში ვედექი იმას და იმას, ამა და ამ წლიდან კი ბოლო ხანებამდე — ამას და ამას.

ვიცი, ჩემს შრომით ბიოგრაფიას თვალს რომ გადაავლებთ, ვერაფერ სახარბიელოს იპოვით მანდ! დამნაშავეთა სამყაროში არსად ჩემი სახელი და გვარი რეგისტრირებული არ არის, არასოდეს ჩემს მიმართ არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე!

საზოგადოებაში, დღემდე, მორალურად მტკიცე, ზნეობრივად სპეტაკი, პატიოსანი, მცოდნე და ენერგიული ადამიანის ავტორიტეტით ვსარგებლობ, სინამდვილეში ვარ ცხვრის ტყავში გახვეული მგელი! ყოველ შემთხვევაში, დამიშავებია იმდენი რამ, სამართალდამცავი ორგანოები ჩემი ნამოღვაწარით რომ დაინტერესებულიყვნენ!..

ასე რომ, ჩემი მოკრძალებული სიტყვა მეც მეთქმის. უფრო მეტიც, ვინმემ რომ მიუკერძოებლად გამოიძიოს წარსულში ჩემი დანაშაულებრივი ქმედებანი, ვინ იცის, იქნებ, ბევრი ცნობილი პიროვნების სახელიც კი გაუფერულდეს ჩემი სახელის გვერდით!..

დიახ, გული მწყდება! გული მწყდება იმაზე, რომ სულ სხვა ვარ და სულ სხვანაირად მიცნობს ხალხი, რაშიც ბრალი, უწინარესად, სამართალდამცავ ორგანოებს მიუძღვით! სად იყვნენ ისინი მაშინ, როცა ახალგაზრდა კაცი, სტუდენტი, დავადექი ცხოვრების მრუდე გზას — ხელი მივყავი ჯერ კომკავშირის, შემდეგ კი პროფკავშირის ფულების განიავებას?! თავის დროზე რომ მათ სიფხიზლე გამოეჩინათ, ვინ იცის, იქნებ, არავის ხელწამოსაკრავი არ ვყოფილიყავი დღეს!

მართალია, ზემოთქმულის შესახებ, შეიძლება, ახლა არ არსებობდეს მამხილებელი საბუთები, მაგრამ რომელ უტყუარ დოკუმენტს არ აჯობებს ჩემს მიერ (ე. ი. დამნაშავის მიერ) მიცემული სწორი ჩვენება?!

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ხომ არ გგონიათ, ბერად აღვიკვეცე შიომღვიმის მონასტერში?! არა! სადაც მეტი საავკაცო იყო, იქ ვყოფდი თავს!..

ყველაფერს რომ შევეშვათ, როგორც ფუნქციონერი, წლების განმავლობაში ხელს ვუწყობდი ისეთ ანტიპოდურ მოვლენათა გაფურჩქვნა-აყვავებას, როგორიცაა კორუფცია, პროტექციონიზმი, კომბინატორობა, კარიერიზმი, სპეკულაცია და სხვა მსგავსი საძაგლობანი!..

რომ იტყვიან, ქრთამის აღებ-მიცემის დიდოსტატი ვიყავი! ახლაც შემიძლია დაგისახელოთ იმ პირთა სახელები და გვარები, რომლებთანაც წლების განმავლობაში დაკავშირებული ვიყავი მექრთამეობით. საბედნიეროდ, ისინი დღეს საკმაოდ ცნობილი პიროვნებები არიან და მეტად საპატიო ადგილებიც უჭირავთ საზოგადოებაში. იმედი მაქვს, საჭიროების შემთხვევაში, ისინი დახმარებას გაუწევენ სამართალდამცავ ორგანოებს ჭეშმარიტების დადგენაში!

სხვადასხვა დროს ვმონაწილეობდი ბანდიტურ თავდასხმებში. ასევე, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, აქტიურად ვმონაწილეობდი როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ გაუპატიურებებში.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ძირს ვუთხრიდი ეროვნულ მოძრაობას, ვიღვწოდი ფორმით სოციალისტური და შინაარსით ინტერნაციონალური ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს კეთილდღეობისა და სიმტკიცისათვის!

მაქვს გაწყვეტილი შუბლის ძარღვი, ვარ მორალურად გახრწნილი, ცრუ და ზნედაცემული პიროვნება! ჩემი ინიციატივით დანგრეულია მრავალი ქართული ოჯახი!..

ვამბობ ერთს, ვგულისხმობ მეორეს, ვაკეთებ მესამეს!..

ერთდროულად ვარ სუკისა და კრემლის აგენტი! როგორც კრიმინალური ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, მუხიანის ბაზრობაზე მამასისხლად მაქვს გაყიდული ყოფილი ხელისუფლების ქუჩის ოპოზიციონერთა მიერ გაძარცული მანქანების ნაწილები!..

ვეწევი ანაშას, ვიკეთებ მორფს, ვღებულობ სხვა ნარკოტიკულ საშუალებებსაც!..

სხვადასხვა დროს ჩადენილი საზიზღრობებისათვის მიღებული მაქვს მთავრობის ჯილდოები!

ყველა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაულებანი სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ სიცოცხლის უმეტესი ნაწილი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამეტარებინა!

გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში ჩემი წარსული დამსახურება და მომცეთ საშუალება, დაგროვილი ცოდნა და ენერგია კვლავ მოვახმარო თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ჩვენს საქართველოს, მის ნათელ მომავალს!

* * *

ვინაიდან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ისე გაძვირდა ყველაფერი, რომ მიცვალებულის დაკრძალვა შეუძლებელი გახდა, მძიმე ავადმყოფებს ვთხოვთ, დროებით შეიკავონ თავი გარდაცვალებისაგან!

გადმოიწერა ნომადი გართაიამ

ფიქრები ჯაჭვაშვილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალაღობო სტრიქონები ილია კავკაზაგს

მეგობრული შარჟი მწერალ
თენგიზ გოგოლაძისა

კარგ ოს მწერლად და კარგ კაცად
ვიცნობ ილია კავკაზაგს, —
სიყვარულ-პატივისცემა
რომ შემოჰკვრია კარკასად!
ის იშვა ქართულ მიწაზე,
ლოცავს ამ მიწას, ამ ცას და, —
ქართულმა სულმა მიხსნაო! —
ამბობს გულწრფელად და სადად!
თბილისში ცხოვრობს, ცხოვრება
სხვაგან არ უნდა არსადა!
ჯვარცმული წლები წერაში,
შრომა-ბრძოლაში დახარჯა!
სამაგალითოდ იღვაწა
და ღირსეულად დაფასდა!
მრავალრიცხოვან მკითხველთა
მილოცვებს იღებს კასკადად!..
ქართველ მწერალთა მრავალი
ნაწარმოები მან თარგმნა
მშობლიურ ოსურ ენაზე,
თან — პირველად და თან — კარგად!
ჩუმია, მოკრძალებული,
ერთ ზედმეტ სიტყვას არ დაძრავს!
სიკეთის შუქი ანათებს
მის პროფილსაც და ანფასსაც!
ერთგული ნიანგელია
და გვეხმარება ახლაც!
სატირასა და იუმორს
იყენებს, როგორც ხმალ-ხანჯალს!
არის ყელამდე მართალი
ყველგან — იქაც და აქაც,
ერთმანეთისგან ყოველთვის
არჩევს მტყუანს და მართალსა,
ქართველებმა და ოსებმა,
სურს, რომ იცხოვრონ მხარდამხარ
და ყველა უთანხმოება
მშვიდობიანად გადაჭრან !
სულით და გულით ვულოცავ
ძვირფას ილია კავკაზაგს,
ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ,
მადლობას ვუხდი ათასსა!

„ნიანგის“ დავალებით —
ზაურ გოლეგვაძე

ლექსის წერის დროს

ერთხელ ბაღში ვიჯექი.
შვილზე ვწერდი
სტრიქონებს!..
იმდღევანდელ შემთხვევას
მუდამ შიშით ვიგონებ:
ჩემი ცელქი გოგონა, —
იმას შემოვევლები. —
ტიტინებდა, დახტოდა.
თავს ირთობდა პეპლებით!..
მასზე ვწერდი ახალ ლექსს,
სიყვარულით შენაფერს,
გარდა ჩემი შვილისა.
ვერ ვამჩნევდი ვერაფერს!..
დამავიწყდა ყოველი,
ყოვლის გრძნობა დავკარგე,
მაგრამ შვილის თვალები

ლექსში კოხტად ჩავქარგე!..
და რომ ჩამოვათავე
საადრესო პწკარები,
უცნაური შიშისგან
დამიბნელდა თვალები:
ბაღში პეპელასავით
ბავშვიც დაკარგულიყო,
ჩემი კარგი სიმღერა,
ჩემი კარგი სულიკო!..
შიშისაგან გავფითრდი,
ამეშალა თმა-წვერი,
ხელში შემრჩა მხოლოდღა
ლექსი — შვილზე ნაწერი!..
როგორც გიჟი, დავრბოდი,
ვით ხელკეტით ნაცემი,
გზაზე შეუკითხავი
არ გავუშვი არც ერთი!
შინ როგორღა დავბრუნდე?!
ან დედამისს რა ვუთხრა?!
იქნებ სახლში გაიქცა,
გზას მალულად გაუდგა?!
შინ მივედი... დაბნელდა
ჩემთვის მთელი ქვეყანა!..
ცოლმა ერთი შეჰკივლა,
მეზობლები შეყარა!..
ზოგი ძლიერ დარდობდა.
მაგინებდა, მკაცრობდა,
ზოგიც მანუგეშებდა
ფერდაკარგულს, საცოდავს!..
სიმწრისაგან მეუღლე
თავს მაყრიდა ჭოჭოლას:
„პოეტობამ შეგშალა!
რა უყავი გოგონა?!
შვილი ლექსში გაცვალე?
კაცო, ლექსი რას გარგებს?!“
მე კი შვილის ძებნაში
უკვე ლექსიც დავკარგე!..
როცა შვილი იპოვეს.
დაცხრა ჰირისუფალი,
სიხარულით შეიძრა
მთელი ქუჩა, უბანი!..
მე კი ისევ ვდარდობდი,
რა მინდოდა, ვერც კი
ვთქვი!..
ვდარდობდი და ვღელავდი

დაკარგული ლექსისთვის!
თურმე ბაღში გოგონა
კი არ მომცილებია:
იქვე ახლოს, ჩემს გვერდით,
ტკბილად ჩასძინებია...

მე კი ასე დამჩემდა, —
ცუდია თუ კარგია, —
ზოგჯერ ლექსის წერაში
თავიც დამიკარგია!

თარგმნა
ზოთა ნიშნიანიძემ

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისნის რაიონის სანეპიდსადგური გვატყობინებს, რომ 1991 წელს ამ რაიონში, შხამქიმიკატებითა და სხვადასხვა მომწამლავი ნივთიერებით გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, არც ერთი ვირთხა არ გარდაცვლილა! ერთადერთი უბედური შემთხვევა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოხდა ვაზისუბნის მიკრორაიონში: 31 დეკემბერს 28-ე კორპუსის მე-6 სადარბაზოს ნაგვის ბუნკერიდან ახალი წლის შესახვედრად გამოვიდა ერთი ფრიად სოლიდური, ლამაზად ჩასუქებული ვირთხა, წესების დარღვევით გადალახა ცენტრალური ქუჩის ღერძული ხაზი და მოულოდნელად შეეჯახა ვრთხ-31 მარკის მსუბუქ ავტომობილს. მანქანა არ დაზიანებულა, ვირთხა ადგილზე გარდაიცვალა (გაკვეთის შემდეგ ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დაზარალებული სავსებით ფხიზელი იყო).

ეს მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით 100 პროცენტით დაბალია, რადგან შარშან მსგავსი შემთხვევით მხოლოდ ორი ვირთხა დაიღუპა!..

წინსვლა აშკარაა!

გიხაროდეს!

ალექსანდრე გორგიშელი

„ეს დროს ლექსია?!“

ბალხის ცხოვრება გაჭირდა მეტად,
ყანებიც ბევრს არ დაუთესია!..
ამ დროს თუ ვინმეს ლექსი წამოსცდა,
საქმე არა აქვს?! რა დროს ლექსია?!“

დღეს, როცა ძმასაც აღარ ინდობენ
და მტრებიც ბლომად შემოგვესია,
მავანი ამბობს: **„ნეტავი ამახ!**
საქმე არა აქვს?! რა დროს ლექსია?!“

იქნებ იმიტომ ვართ გასაჭირში,
იქნებ იმიტომ გვიხმება ფესვი,
რომ მოვიშორეთ და დავივიწყეთ
კარგი სიმღერა და კარგი ლექსი?!

წარსულში, მტრებით გულშეწუხებულს,
ქართველს მრავალჯერ დაუკვნესია!..
ცეცხლითა წვავდნენ, ხმლითა ჰკუწავდნენ,
მაგრამ არ უთქვამს: **„რა დროს ლექსია?!“**

ლამაზი სიტყვა ბევრჯერ ყოფილა
გაჭირვებულის მხსნელი ტალ-კვესი!
ქართველს ბრძოლასაც უადვილებდა
კარგი სიმღერა და კარგი ლექსი!

ზოგჯერ ჭკვიანი მტრების ზრახვები
პირს უჩლუნგებდა ხანჯალს ალესილს,
მაგრამ რკინაზე გამარჯვებული
ყოველთვის იყო ქართული ლექსი!

იმედიანად შევხვდეთ მომავალს,
მართალი სიტყვა ვთესოთ ერშია,
სულგრძელნი ვიყოთ წინაპრებივით
და ნულარ ვიტყვით: **„რა დროს ლექსია?!“**

გუგა ქარშავეთელი
(გალდათი)

ნახ. ზ. აბაშიძისა

ჩვენებურები

ვახტანგ ჯუოიძე და მისი ქუთაისელი მეგობრები

რა დროსაც უნდა ჩასულიყავით ჩვენს დედაქალაქში და სასტუმრო „თბილისში" დაგედოთ ბინა, ყოველთვის ნახავდით ვახტანგ ჯუოიძეს, პროფესიით ექიმს და ლხინის საოცარ მოტრფიალეს. მას მთელ საქართველოში იცნობდნენ, ქუთაისშიც მრავალი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ განსაკუთრებით ახლოს იყო ნიჭიერ ინტელიგენტ დადუ გელენიძესთან, რომლის ჰობიც ლაზათიანი ქართული პურ-მარილი იყო.

— ამას ვის ვხედავ! როდის ჩამოდი, რა საქმეზე?! — დილაადრიან თბილისი-ქუთაისის მატარებლით ჩასულს, სასტუმროსთან დახვდა დადუს ვახტანგი და უმალ შესთავაზა, ბაშზე წასულიყვნენ.



ვახტანგმა მოიკითხა ქუთაისელი მეგობრები — მაბათია, მაბიჯია, კვეუო, რიწკინა, მაკვარანცხი, კვანწლი.

— ალეფიშტო როგორაა? რა მომავალი ჰქონდა ქორეოგრაფიაში! ქუთაისი ვერ მიატოვა, თორემ სუბიშვილის ანსამბლში იქნებოდა უეჭველად! — ღიმილით ლაპარაკობდა ვახტანგი.

როცა ახლანდელ თავისუფლების მოედანს მიუახლოვდნენ, სტუმარმა მახპინძელს მოკრძალებით ჰკითხა:

— მართალია, ბატონო ვახტანგ, დილით ლენინის მოედანზე რომ გარბოდით, — შინ რადიო არ მუშაობს და ჰიმნი აქ უნდა მოვისმინოო?

— მართალია და, ისიც მახსოვს, რომ სწორედ აქ შემხვდა ერთ დილას ჩვენი საამაყო ზურაბ ანჯაფარიძე, — დილის ტერენკურს ვაკეთებ, იქნებ წონაში დავიკლო, თანაც მკითხა, — ხომ მეტყობა შედეგი?

როცა ერთხელ კიდევ შევავლე თვალი, მორიდებულად ვუთხარი, — ჭერჭერობით ვერაფერს გამჩნევ, ტაქსმა წრე რომ დაგარტყას, მანეთს დაწერს-მეთქი!..

რა არ მოიგონეს მეგობრებმა, სანამ პუშკინის ქუჩაზე მდებარე სახაშემდე მივიდოდნენ! ისინი ერთად ისვენებდნენ გაგრაში და ყოველ ცისმარე დღეს ქეიფში ატარებდნენ. ერთხელ ლესელიძეში მოინახულეს ძველთაძველი მეგობარი, რომელიც კარგა ხანია იქ დასახლებულიყო და კარმიდამო შესანიშნავად მოეწყო.

დიდად გაიხარეს მასპინძლებმა, იმწამსვე წიწილებს დაედევნენ და ოფლში გაიწურნენ!..

— რაზე იკლავთ თავს?! აგერ ინდაური, დარბაისლურად რომ ტაბიჯებს, აგი დაკალით, წიწილებს გაზრდა აცალეთ! — ურჩია ვახტანგმა.

გაგრიდან ისე ჩამოვიდნენ მეგობრები, რომ ზღვაზე ყოფნა სულ არ ეტყობოდათ. როცა ვახტანგს მიზეზი ჰკითხეს, მან მოკლედ უპასუხა, — ერთი თვე სუფრას არ მოვცილებულვართ და, უმზეოდ რომ გაშავებულიყო ჩემი დადუ, პოლ რობსონს დაემსგავსებოდაო!

როგორც იმ დილით, ისე მთელი კვირა მამაპაპურად უმასპინძლა ვახტანგმა ქუთაისელ მეგობარს, რომლის ქალიშვილი კონსერვატორიაში აბარებდა მისაღებ გამოცდებს.

ვახტანგს რატომღაც ეგონა, რომ გოგონა — ვერ გაიმარჯვებდა დიდ კონკურსში, მაგრამ, საბედნიეროდ, ისე, როგორც არაერთ ახალგაზრდას უსახელებია ზაქარია ფალიაშვილისა და მელიტონ ბალანჩივაძის მადლმოსილი ქუთაისი, ჩვენი მეგობრის ქალიშვილმაც ასახელა!

ვახტანგს და დადუს ყოველდღე სუფრა ჰქონდათ გაშლილი. რაც საძმაკაცო ფონდში ჰქონდა ვახტანგს შენახული, შემოებარჯა, დადუს ქალიშვილი კი ხუთებს ხუთებზე ღებულობდა!..

ბოლო გამოცდის დღე იყო და — კვლავ ხუთიანი! ვახტანგმა ბოდიში მოუხადა დადუს და უთხრა, — ახლავე დავბრუნდებიო!

შევიდა სანეპიდსადგურში, სადაც ექიმეპიდემიოლოგად მუშაობდა, მაგრამ არ შეუშვეს, — დახურული პარტიული კრება ტარდება და შესვლა არ შეიძლებაო!

— დახურეთ, დახურეთ, თორემ მაცი ხვიტიასავით ბუხრიდან არ ჩამოგიხტეთ! ექვსი ბოთლი „გურჯაანი" მაქვს „ენზეზე" შენახული და უნდა წავიღო, ჩემს ქუთაისელ მეგობარს კონსერვატორიაში ქალიშვილის ჩარიცხვა უნდა მივულოცო!

გივი მეფისაშვილი



— ქალიშვილო, თქვენ ზოოვეტერინალური ინსტიტუტი გაქვთ დამთავრებული, ხომ?

— დიახ, ბატონო!

— ესე იგი, ვირების ექიმი ხართ?

— დიახ!.. რატომ მეკითხებით, თავს ცუდად ხომ არ გრძნობთ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს-ეს არის, მოვეწყვე სანატორიუმში და გავეშურე პროცედურების მისაღებად! მედდას ვეკითხები:

— აქ შემიძლია, მივიღო ელექტროსტატიკური შხაპი?

— აქ, მარა, ახლა არ მომთხოვო დუში და ვანა!

— არა, ვიცი, ელექტრონი და წყალი ერთად არ შეიძლება! — თავს ვიწონებ ჩემი ცოდნით.

— კარგია, ერთი განათლებული კლიენტი მაინც რომ მერგო, თვარა გეიგონებენ თუ არა, შხაპიაო, ტრუსიკით და პირსახოცით მოაჯლიგინებენ აქეთკენ!... ამას წინათ ერთმა საპონი და მაჩალკაც ქე გამეიყოლა. საათი მეიხსენი, ფეხსაცმელი გეიხადე და ჩაჯექი კრესლოში, ოღონდ თავი სადენებს არ მოზდო, თვარა, ჯერ ერთი, ტოკია ‘ბიდ და მერე მძლივას გავასწორე მაი სადენები! თუ აპარატი გამეირთო, დამიძახე! თუ არ ვიქენი, შენ თვითონ შეუჩხიკინე შტეპსელს, ოღონდ დენმა არ დაგარტყას! ხომ იცი, რაფრა მუშაობს შტეპსელი? — მეკითხება მედდა. მეც თავს ვუკანტურებ. — კიდო კარგი, თვარა გვიგზავნიან აქანა ყველა რჯულის ლენჩებს, გაწყდა მათი სინსილა! დეიხსომე: მთავარია, არ გეინძრე!

მეც ვზივარ და არ ვინძრევი.

— ბოდიში, რას გიკეთებენ მაგ თავზე? — მესმის ზურგს უკან ქალის ხმა.

— ელექტროსტატიკას! — ვეუბნები უხალისოდ.

— რას უხდება ეგ სტატიკა? — არ ისვენებს ქალის ხმა.

— თმები ამოჰყავს! — ვცრუობ და თან ბრაზი მომდის საკუთარ თავზეც, ჩემს აქ გამომგზავნზეც და ამ სანატორიუმის მესვეურებზეც! იმაზეც, ასეთ უადგილო ადგილას, კორიდორში, რომ დაუდგამთ ეს უპატრონო აპარატი. არავინ რომ არ ფიქრობს მის მოწესრიგებაზე, ყველა ოხერს რომ შეუძლია მომმართოს ათასგვარი სულელური კითხვით!..

— საკვირველია, ჩვენთან, ლიპეცკში, რატომ არ არის ასეთი სტატიკა?! რამდენ ჩვენს მშრომელს სჭირდება ალბათ იგი! ყველაფერი კი აქ ჩამოაქვთ, ამ უსაქმურებისთვის! — ნერვულობს ქალი.

— თქვენც მოგივათ... არჩევნების მერე! — ბოლმანარევი კილოთი ვუპასუხებ.

— არ მოგვივა!.. ჩვენ იმნაირებს გვიგზავნიან, რომელზედაც მუშაობაა საჭირო!.. დასვენების აპარატები კი თქვენ მიგაქვთ!..

— აპარატები ყველასთვისაა! — ვბუზღუნებ მე.

— რა თქვით?! ყველასთვისაა?!

— რა თქმა უნდა! ახლა ჩემი ჯერია! აი, მოვრჩები პროცედურას და მერე თქვენთვის დამითმია! გიხდათ, აქ იხმარეთ, გინდათ, ომსკში წაიღეთ!

— არ არის ეგ თმების ამომყვანი, ნერვების დამაწყნარებელია! — მესმის მეორე ხმა.

— კაცი ამბობს და, რატომ არ გჯერათ?!

— ამბობს იმიტომ, რომ შეგხედა, შტერი რომ ხარ და გაშაყირებს!

— როგორ შემხედა, თავს ვერ ატრიალებს!..

— ხმაზე შეგატყო!

— ელექტროსტატიკური შხაპი ხომ ნერვულ სისტემას ამაგრებს, ააა?! — ეს უკვე ბარიტონია.

— შესაძლებელია! — ვუპასუხებ მე.

— მაშინ რას ატუტუცებთ ამ ქალებს?! — ხმას უწევს ბარიტონი.

— მე კი თმები ამომყავს და!.. — ისევ ჩემსაზე ვდგავარ!

— როგორ ამოგყავთ, როდესაც თქვენ მელოტი ხართ?! — არ ცხრება ბარიტონი.

— ამომყავს, ამომყავს, ქოჩორა მინდა გავხდე!..

— ამას უყურეთ ერთი, მასხარადაც რომ მიგდებს?!.

— აბა, აქედან შეაყოლეთ! — მოთმინებას ვკარგავ მე.

— უყურეთ, მართლა ნერვული ყოფილა! — თქვა პირველმა.

— ნერვული კი არა, გიჟია! შეხედეთ, თვალებს როგორ ატრიალებს?!

— ასეა, ჩემო დაიკო! აკი გვეუბნებოდა ჩვენი პროფგრუპორგი, — თბილისში ნუ მიდიხართ, იქ წესრიგს ვერ ნახავთო!

— ყველა-ყველა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ გულით ავადმყოფებს გიჟების წამლით მკურნალობდნენ?! ახლა კი მართლა გადავირიე!..

— უ!.. უ!.. თქვენი!.. დაგამიწებთ! — ხელს ვკიდებ სადენის სახელურს და სავარძლიდან გამოძრომას ვიწყებ!

— რას აპირებთ, ნეტავი?! — მესმის შეშინებული ხმა.

— ასპროცენტიანი გიჟია! ნამდვილად დაგვამიწებს ეს შეჩვენებული და პასუხსაც ვერ აგებინებ!

— ხალხნო, თავს უშველეთ! — კივის ნერვული.

ერთი წამიც და — „კლიენტები“ დუსტდაყრილი ტარაკანებივით იფანტებიან სხვადასხვა მხარეს!..

ღმერთო, ჩამოვკრათ ზარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვი. ალავერდო, ლამაზო,
კარიბჭე-გალავნიანო,
რაც უფალს უშენებია,
ჩვენ უნდა გავანიავოთ?!

წინაპრებს დიდი გარჯითა
დღემდე რაც მოუტანიათ,
უნდა წაგვართვას, წაგვლლიტოს
ჭურდმა და სახლშიტანიამ?

ჭეთევანს საფლავს ვუკარგავთ,
მის ხატს არ ვკიდებთ ტაძარში!,
ჩვენ მადლსა ვკარგავთ, ვიღაც კი
მდიდრდება ღვთისგან ნაძარცვით!..

რაც ცამდე უშენებიათ,
ჩვენ მას ვასწორებთ მიწამდე!..

უფალო, მართლაც დავბეცდით,
ჰოდა, გაგვკურნე, გვიწამლე!

შევაჭმევინეთ ბალახსა
წმინდა ალაგი ღვთისაო,
ვაკეთებთ, ვერ შევაკეთეთ,
პირიქით, ვუთხრით ძირსაო!..

ნუთუ, ჩვენც გახარება გვსურს
ურჯულოსი და მტრისაო:!

რა გვიხსნის?! გული არ გულობს,
ტაძარს დაეტყო ბზარიო!..
უნდა ჩამოვკრათ სასწრაფოდ,
ძმებო, განგაშის ზარიო!

ბადრი გუგუშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— თქვენი ტელეფონი მუშაობს?
— არა!..
— რომ ლაპარაკობს?!.
— მერე რა! ვინც ლაპარაკობს, განა ყველა მუშაობს?!

ᲙᲣᲠᲝᲛᲘ ᲘᲐᲡᲐᲠᲘᲓᲘ

ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!

.ᲐᲠᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲪᲘᲠᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲝᲑᲘᲡ თვალწინ: საქართველოს საუკუნეთა მოკოალებული ᲮᲔᲚᲘ მᲝᲛᲔᲚ სიგრძეზე. ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲐᲚᲔᲗᲘᲡᲓᲦᲔᲡ დასაბეჭდოᲛᲨᲘᲡ, გამოᲪᲣᲚᲘᲐᲚᲘᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡᲐᲛᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲐ ᲓᲦᲔᲜᲐᲡ ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲔᲜᲐ ᲩᲐᲣᲓᲐᲠᲓᲐᲗ. ᲔᲜᲐ ᲩᲐᲣᲓᲐᲠᲓᲐᲗ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲜᲐᲗᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲠᲔᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲮᲐᲠᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲐᲚᲔᲗᲘᲡᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡᲐᲛᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲐ ᲓᲦᲔᲓᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲐᲠᲒᲐᲜᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲛᲝ ᲨᲘᲜᲐᲒᲗᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲧᲕᲬᲘᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲝᲬᲘᲠᲘ. ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ! ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ! ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!..

ᲢᲙᲔᲑᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲜᲘᲜᲝᲚᲘᲛᲘᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ ᲨᲔᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲚᲘᲡ ᲪᲘᲡᲢᲘᲡᲐᲜ **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!** ᲔᲜ ᲜᲘᲜᲝᲚᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ ᲜᲘᲜᲝᲚᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲐᲮᲛᲝᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲮᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲠᲘᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ: **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲐᲨᲘ ᲛᲭᲘᲜᲕᲘᲐᲜᲘ ᲠᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ ᲜᲘᲜᲝᲚᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!** ᲔᲜ ᲜᲘᲜᲝᲚᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲐᲮᲛᲝᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲮᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲠᲘᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ: **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲘᲛᲔᲜᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲐᲚᲔᲗᲘᲡᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡᲐᲛᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲐᲠᲒᲐᲜᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲛᲝ ᲨᲘᲜᲐᲒᲗᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲝᲬᲘᲠᲘ. **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!** ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲐᲚᲔᲗᲘᲡᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡᲐᲛᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲐᲚᲔᲗᲘᲡᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡᲐᲛᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲠᲔᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ ᲡᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲪᲘᲠᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡᲐᲛᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ: **ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ!**

ᲛᲔ ᲓᲦᲔᲓᲐᲡ ᲓᲦᲔᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲐᲚᲔᲗᲘᲡᲓᲦᲔᲡ

ეკურამ ინასარიძე

სებული დიდი სხვაობის გამო, მსახურებად აქცია ისინი!

ასე რომ:

დედამიწის ცხოვრებისეული ჰარმონია კვლავ ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა, რამეთუ **ფულიანები კვლავ ერთეულები იყვნენ, უფულონი კი — მრავალნი!**

თანასწორუფლებიანობა

ვირებმა გადაწყვიტეს, ჭკვიანად და გონივრულად ეცხოვრათ და შემოიღეს **თანასწორუფლებიანობა!**

იმ დღიდან, რომელიმე ვირისთვის რომ ხუთი ფუთი ზედმეტი ტვირთი აეკიდათ, დანარჩენები დაჟინებული ყოყინით მოითხოვდნენ, მათი ტვირთიც იმ ხუთი ფუთით დაემძიმებინათ!

ან: რომელიმე, სხვაფრივ ყველაფრით ამნაირ, მაგრამ ცოტა უფრო იღბლიან ვირს რომ გულმოწყალე პატრონი გასჩენოდა და სულ ნუგბარ-ნუგბარი საჭმელებით ერჩინა იგი, დანარჩენები ერთხმად (ბოდიში, ერთ-ყოყინად) მოითხოვდნენ, ბედის ის ნებიერაც ბალანდით ეკვებათ!

მოკლედ, საფუძვლიანად სურდათ, თანასწორუფლებიანობა უმაღლეს დონეზე მდგარიყო!

თვის ბოლოს ვირების თავკაცი (ბოდიში, თავვირი) შედეგებს აჯამებდა და თავს უკმაყოფილოდ აქნევდა აქეთ-იქით, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ გეგმის ზევით რომ კიდევ სხვა (მაღალი ინსტანციების უყაირათობიდან გამომდინარე) გეგმა ჰქონდათ დაგეგმილი, იმას ვერ ასრულებდნენ!

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, გადაგეგმებაში მოყოლილი არტელის ვირი, რომელმაც ნაკისრი ვალდებულების ზურგზე მოქცევას ვეღარ გაუძლო და განუსაზღვრელი ვადით ჩაიკეცა, თავვირმა ისე უმოწყალოდ დატლინკა, რომ ის უბედური ფრიად დასაბუთებულად შეეცადა მარილზე გასვლას!.. მას არტელის დანარჩენი ვირები შემოეხვივნენ და დიდ საგონებელში ჩავარდნენ, რადგან **თანასწორუფლებიანობის** პრინციპებს წყალი შეუდგა — თვითონ მხნედ და საღ-სალამათად იდგნენ ფეხზე, მათი კოლეგა კი დალილავებული და გასისხლიანებული ეგდო მიწაზე!..

იფიქრეს, იფიქრეს ვირებმა და, ბოლოს, მათ შორის ყველაზე უვირესმა ბრძანა: — სხვა გზა არ არის, **თანასწორუფლებიანობის** შესანარჩუნებლად ჩვენც ემაგ უბედურის ბედი უნდა გავიზიაროთო!

— ვირი ხარ ვირულიო! — შესძახეს ვირებმა სიხარულით და ერთმანეთს ისეთი სიშმაგითა და მონდომებით დააყარეს ტლინკები, რომ, სულ მალე, **თანასწორუფლებიანობამ** თავის უმაღლეს სტადიას მიაღწია!

კაცი—კაგომგონებელი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი, არა უბრალოდ კაცი, არამედ კაცი — გამომგონებელი. ჰოდა, ერთ დღესაც იმ არაუბრალომ ისეთი ხელსაწყო გამოიგონა, რომელიც ადამიანის სიზმარს აფიქსირებდა. ხელმძღვანელობას გაუხარდა, შეაქებს, დააჯილდოებს, მაგრამ ხელსაწყო გამოყენებით ვერაფერში გამოიყენეს, რადგან იმჟამად იმ ქვეყანაში იატაკქვეშა თუ იატაკზედა პარტიების სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა და მეცნიერებისათვის არავის ეცალა!..

გავიდა წლები. გაბრაზდა ის კაცი, ხელსაწყო კვლავ უქმად რომ იდო, და მისი გამოყენების მეთოდიც გამოიგონა. მეორე დღესვე ხელმძღვანელობას ეახლა და მოახსენა, — აკრძალული სიზმრების ნუსხა უნდა შევადგინოთო! ხელმძღვანელებს ეს ჭკუაში დაუჯდათ, რადგან, მათი აზრით, ხალხის გარკვეული პროცენტი დასაჭერი იყო და საბაბს კი ვერ პოულობდნენ, ამიტომ სათანადო ორგანოებს მაშინვე შეადგენინეს აკრძალული სიზმრების ნუსხა და კანონიც გამოსცეს!

იმ დღიდან გაუფრთხა ხალხს ძილი, რადგან იმ კანონით ბევრნაირი სიზმრის ნახვა იკრძალებოდა! მოკლედ, დიდძალი ხალხი დაიჭირეს! დაუჭერლებს ძალიან ეშინოდათ და, რაღა უნდა ექნათ?! ადგნენ (საწოლებიდან) და შიმშილობა (ბოდიში, უძილობა) გამოაცხადეს, მაგრამ უკვე პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშნულმა გამომგონებელმა ჩაიცინა, — ეშმაკობა ეგრე არ უნდაო, — და სასწრაფოდ მიიღებინა კანონი, რომელიც უძილობასაც კრძალავდა! წავიდა შინ, ჩაკოტრიალდა საწოლში (რათა ხალხისთვის კანონისადმი პატივისცემის მაგალითი ეჩვენებინა) და ნახა სიზმარი: თვითონ პირველი კაცის ადგილზე იჯდა, გადამდგარი პირველი კაცი კი დარბაზიდან უკრავდა ტაშს. გამომგონებლის ხელსაწყომ ეს მაშინვე დაფიქსირა პირველი კაცის კაბინეტის სადემონსტრაციო ეკრანზე!.. აღშფოთებულმა პირველმა კაცმა ზუსტად ასე განაცხადა: — ასეთი უტიფარი სიზმარი ჩემს დღეში არ... უნახავს არავისო!

...და „გამოაწყვეს" კაცი — გამომგონებელი ზოლებიან პიჟამაში!..

გაიგეთ, (გა)მომგონებლებო?!.

[redacted]

● **ზოგიერთების ძეგლები** ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მიზეზი: ვერტიკალურად დგომისას ფერი ეცვალათ!

● **ყოფილ** საბჭოთა რესპუბლიკებში ზანგები მომრავლდნენ.

მიზეზი: საკნის მწვავე დეფიციტი!

● **პროლეტარები** ვერ ... ვერ შეერთდნენ!

მიზეზი: საბჭოთა გაზეთებმა არსებობა შეწყვიტეს!

● **ხალხი** ნაგავს ...

მიზეზი: რითი ვართ იაპონელებზე ნაკლები?!

● **ქართველმა** კვლავ მოკლა ქართველი!..

მიზეზი: უმიზეზოდ!

შეტყობინება

ქალაქის ა კვადრატში მდებარე ერთ-ერთი სახლის კედელზე ვიღაც ბოროტმოქმედმა ცარცით რაღაც ვულგარული სიტყვა მიაწერა და დაუყოვნებლივ გაუჩინარდა!..

არ გასულა დიდი ხანი, რომ **ა** კვადრატის ხელმძღვანელობამ შეამჩნია ის სიტყვა და გაფართოებული სხდომა მოიწვია.

სხდომამ ცხარე კამათსა და მწარე დისკუსიაში იწყო მდინარება და, ის იყო, მისი მონაწილეები ფაქტის კონკრეტიზაციამდეც (ანუ იმ კედელზე იმ სიტყვის წამშლელი ჯგუფის ჩამოყალიბებამდე) უნდა მისულიყვნენ, რომ მათ შორის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო შუბლნათელმა მსხდომიარემ დანარჩენების ყურადღება მტკიცედ მიიპყრო იმ გარემოებას, რომ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ის სახლი **ბ** კვადრატის საკუთრებას წარმოადგენდა!

ბ კვადრატის ხელმძღვანელობას შეტყობინება გაეგზავნა.

იქაც მოიწვიეს გაფართოებული სხდომა, მაგრამ ვერ დაადგინეს, თუ რატომ კამოუგზავნეს მათ ეს შეტყობინება და გადაწყვიტეს, **ა** კვადრატის ხელმძღვანელობასთან ერთად, ერთობლივი გაფართოებული სხდომა ჩაეტარებინათ.

ა და **ბ** კვადრატების ერთობლივ-გაფართოებულმა სხდომამ დაადგინა, რომ იმ სახლზე მეურვეობა თავიდანვე **ბ** კვადრატის ხელმძღვანელობას ჰქონდა დაკისრებული, ამიტომ ადგნენ და ერთობლივი შეტყობინება გაუგზავნეს მას.

ბ კვადრატის ხელმძღვანელობამ მიღებული შეტყობინება **დ** კვადრატის ხელმძღვანელობას გადაუგზავნა, ამ უკანასკნელმა კი — **ე** კვადრატის ხელმძღვანელობას!..

ასე დაფრინავდა შეტყობინების ფურცელი კვადრატიდან კვადრატში!..

ხოლო ის სახლი, რომლის კედელზეც ის ვულგარული სიტყვა ეწერა და რომელიც მეტროს გვირაბის მშენებლობას უშლიდა ხელს, დიდი ხანია ადგილზე აღარ იდგა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჭკვა ზეგავლილი





ბოროტვეშაპი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელმან შექმნა პროგრამა იდეით მშვენიერითა:
მთლიანად შეცვლა ქვეყნისა მრავალ ხალხით თუ ერითა,
სიყალბეებით, ხინჯებით, გაუბარელი ჰერითა,
საშხეფრო აღტურვილობით და მხოლოდ მით ძლიერითა!

ბე, გენმდივანო, შენ გშვენის ლაყბობა მოკნილ ენითა,
შენ ახსენ ეს მწარე ყოფა წარსულის ხშირი კბენითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვეც გარდაქმნა დაპირებათა წყენითა
და კიდევ ერთხელ აღგვაყვე ნათელ მომავლის რწმენითა!..

1988 წ.

* * *

გასრულდა ესე გარდაქმნა, ვითა სიზმარი ღამისა,
რა მოპყვა ჩემთვის? — გაჩენა შუბლზე ახლისა ღარისა,
ვერ შევაჩერე დინება ჭირის ოფლისა ღვარისა,
კვლავ დავრჩი მოღორებული, ჩაჭრა იმედი ხვალისა!..

ეს კომპარტია ახლა: არვისგან მისანდობელი,
დაარსებიდან აქამდე ხალხის დათრგუნვის მდომელი,
ადამიანის უფლების არც არასოდეს მცნობელი,
ყველაფრის მკადრებელი და ყოვლისა ავის მუნობელი!..

* * *

ნახეს ზორბა მოუმე ვინმე, ჯდა სავაჭროდ პირსა გზისა,
ჯდა და შიში არა ჰქონდა არც წვიმის და არცა მზისა,
ედგა გორა საზამთროსი, ნაშენების ნაცვლად ზვრისა,
მუშტარს მკაცრად უყიოდა, უფასებდა დიდ ძვირსა!

ემოსა ჯინსის პერანგი ბზინვითა კონტა ხირმისა,
ჯინსისავე ეცვა შარვალი, ნაკერი უცხო ფირმისა,
ხასწორი უჩნდა პირქუში თეფშითა ორით რკინისა,
მომწოდი ხილის, შემცველის ნიტრატად რქმეულ ჭირისა!..

1990 წ.

* * *

პირფერობა ახალ დროში კიდევ უფრო გახდა მარგი,
წარმოჩინდა, ვითა ჩვენი უზნეობის ცალკე დარგი,
მლიქვნელთ დოღი გაუმართავთ, ადგილები ნებავთ კარგი,
ხირცხვილისა რამე გრძნობა ზედმეტია მათთვის ბარგი!

მლიქვნელი მახა გვიქვია ქართველებისა ენითა,
ვინც დიდკაცს ელაქუცება იმ კაცისაგან თმენითა,
აიყვანს ცაში სიტყვათა ფიანდაზების ფენითა,
„მეხია ხარო!" — შეხძახის დიდითა აღმაფრენითა!..

* * *

ტელეეკრანზე ერთი მიტინგის ცქერისას

„ბოროტსა ძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!"
ყვირილი ამას რად უნდა — სიკეთე მუდამ მძლეავია,
ბოროტი ოღონდ ვინ არის, მიხვედრა არცთუ ძნელია,
ბრბოს გახელების მეთოდი არ ახალია, ძველია!..

1991 წ.

თამაზ ებანოიძე

— ოპოზიციურ უბრალოდ, ფასები გვინდა გავიგოთ!..
— რაზეა ეს ჩოგი, რას ელოდენ?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

90073

რა ქნას ადამიანმა...

უასაბი რომ ძროხის, ღორის, ცხვრის, თხის ხორცს მოუხარშავს, უმარილოს ყიდის (რომ მოეხარშა, გემოს მაინც გავუსინჯავდით!).

ბაზარში რომ 200-300 მანეთად ნიგოზს მოგყიდიან და არ გკითხავენ, შინ თუ ერთი პაწია, საცოდავი წიწილა მაინც გყავს.

ბავშვი რომ დედას კალთაზე ექაჩება, ტირის, ფეხს არ იცვლის და ვაშლის გამყიდველი ამ ბავშვს ერთ ცალ ვაშლს არ მისცემს უფულოდ.

გამყიდველი რომ ყველს 150 მანეთად ყიდის და ერთ ცხელ პურს, მჭადს, ან ერთ თეფშ ღომს არ მოაყოლებს.

მყიდველები რომ ხელში პურის ნაჭერს არ დავიჭერთ და ისე არ გავსინჯავთ ბაზრის პროდუქტებს (ცოტას მაინც წავილუკმებდით!).

გოშა ქალებმა რომ სიგარეტის გაყიდვას თავი მიანებეს და ქართველებმა მოჰკიდეს ხელი.

ბაზარი რომ ბაზარია და ადამიანებს ერთმანეთთან ბაზრობა არა აქვთ — რასაც როგორ დააფასებენ, ისე ყიდულობენ.

რევაზ ლორია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავიფიქრე, ბატონო, გადავიფიქრე!..

არა! არა! გადაწყდა! — ვიკლავ თავს!.. ახე სიცოცხლე შეუძლებელია! — ეს არ არის, ის არ არის! ამას ვერ იშოვი, იმას ვერ იშოვი! იშოვი და, ვერ გაწვდები! ყველაფერი გამცირებს, ყველაფერი შეურაცხყოფს!.. მივიცვლები ჩუმად, ინტელიგენტურად!.. მოხვალთ, შეიცხადებთ, იტყვით, — აფსუს, ვალების გადახდა მაინც მოესწროო! დაცლით ოთახს, გამამატიოსნებთ, ჩამაცმევთ, გამომაწყობთ!.. რატომ მაინცადამაინც ახალში?! სადა მაქვს ახალი?! სადან მექნება ახალი?! თქვენც კარგად იცით, რაც ღირს ახალი! რაც ნახოთ, ის ჩამაცვით! არა უშავს, ზევით მე გავცემ პასუხს! ჩამასვენეთ სასახლეში! როგორ თუ არ არის?! რას ჰქვია, არ არის?! მასალა გააძვირეს? მუბა ნუ იქნება, ნაძვი იყოს! რამდენიო?! ნაძვი ნუ იქნება, ფიჭვი იყოს! რამდენი?! ნურც ფიჭვი იქნება, ფიცრებისგან, უბრალო ფიცრებისგან შეკარით, ბატონო! ვერც ფიცრებს გაწვდებით?! კარგით, ჰო! არ გვინდა სასახლე! ზეწარში გამახვიეთ! არის, ზეწარი ნამდვილად არის! არის-მეთქი, გეუბნებით! კარგად ნახეთ! დახეულია?! გაკერეთ, არა უშავს! ზევით მე გავცემ პასუხს! მომრთეთ ყვავილებით, არ დაიშუროთ, მიყვარდა ძალიან! ვერც ყვავილები იქნება?! ეგეც გააძვირეს?! რა ღირსო?! ვარდი ნუ იქნება, მიხაკი იყოს! რამდენიო?! მიხაკი ნუ იქნება, ტიტა იყოს! რამდენი?! ნურც ტიტა იქნება, მინდვრის ყვავილები იყოს, ბატონო, მინდვრის! ვერც მაგას გაწვდებით?! კარგით, ჰო, დამშვიდდით, ნუ ღელავთ! არც ყვავილები გვინდა, მოვხსნათ ყვავილებიც! მუსიკა მაინც ხომ იქნება — ჩუმი, უპრეტენზიო, მაგას რაღა დაუდგება წინ?! რას ჰქვია, — „ვერც ეგ იქნება?!“ რა ღირსო?! რა, კაცო?! ჩვეულებრივი ჩანაწერი?! კარგით, ჰო! არც მუსიკა გვინდა! საერთოდ, აღარაფერი არ მინდა, ოღონდაც აქაურობას გამაცილეთ როგორმე! აბა, ჰე, ცოცხლად, დახტაცეთ ხელი ზეწარს, ამიტაცეთ! კარგია! წავიდა გამოსამშვიდობებელი წრებრუნვი ადგილზე! ადგილზე-მეთქი, ადგილზე, ტახტის ირგვლივ! სად გამაქანეთ?! სამჯერ, სამჯერ! რატომ ახალტურებთ?! ახლა გასახვლელ კარებზე ფეხის მიბაკუნება! რატომ არ გამოვა?! დერეფანში კუდს ვერ მოვიქნევთ?! მოვხსნათ ბაკუნიც! გავედით სადარბაზოში! თარაზულად არ გავდივარ და შვეულად გამიტანეთ, შვეულად! დამკუბეთ! დამკეცეთ!

დამახვიეთ!.. ფანჯრიდან გადამაგდეთ, ბოლოს და ბოლოს, ოღონდაც აქაურობას გამაშორეთ! გავედით გარეთ, აგაშენათ ღმერთმა! არ მინდა ხელით! შემაგდეთ კატაფალკაზე! რას ჰქვია, არ არის?! როგორ თუ არ არის?! დამცინით?! ხაწვავი არ ჰქონდათ?! კარგით, კო, დამშვიდდით, ნუ ღელავთ! დამაყენეთ ფეხზე, ჩემით წავალ. რომელი შორსაა! რატომ მუხათგვერდში?! რა მინდა მუხათგვერდში?! ხაბურთალოს ვერ გაწვდით?! კარგი, წავალ, მუხათგვერდში წავალ, სადაც გინდათ, იქ წავალ, ოღონდაც აქაურობას მოვშორდე! რატომ ბვალ, დაკრძალვა ხომ დღეს არის?! გათბრილი არ არის, ვერ გაწვდით, ბევრი მოითბოვეს?! გასაგებია, გასაგებია ყველაფერი! მე თვითონ გავთბრი, მე თვითონ ჩავწვები, მე თვითონ დავიყრი მიწას, მე თვითონ შევხვამ ჩემს შესანდობარს! რას ჰქვია, ვერ შევხვამ?! რატომ ვერ შევხვამ?! ვერც ღვინოს გაწვდით?! ღვინოც გააძვირეს?! ახლა ბოოო! ახლა ბო-მეთქი! უღვინოდ არ მინდა! უღვინოდ არ ვიზამ! შესანდობარის გარეშე ვერ გადავშენდები, ხული არ მიცხონდება და აქაური ბედი გამყვება! ხამოთხზე მქონდა აგებული მთელი იმედები!.. და, ხაერთოდ, გადავიფიქრე, ბატონო, გადავიფიქრეეე! გასაგებია?! გადავიფიქრე! აღარ ვიკლავ თავს! გადაფიქრება შეუძლებელია?! რატომ არის, ვითომ, შეუძლებელი?! გაზეთში განცხადებაა გამოქვეყნებული?! მაინცადამაინც განცხადებას გაწვდით, ხომ?! რედაქტორი გამოდგა ნაცნობი და უფასოდ გამოგიქვეყნათ?! ჰოდა, ახლა კეთილი ინებოს და ფასიანად გამოაქვეყნოს, რომ ადარ ვიკლავ თავს, გადავიფიქრე — ასეთ ხიკვდილს ისევ სიცოცხლე მირჩევნია! თუმცა კი მომბეზრდა, მაგრამ რა ვქნა?! ვიცოცხლებ, რაკი მოსჯილი მქონია, ვიცოცხლებ!..

წერილი მეგობარს

ანეტა ჩუმო! ვიცი, გადარეული იქნები, — ამდენ ხანს წერილი რეიზა არ მომწერია?! რანაირად მოგწერდი, გოგო?! დეკემბრის თვეში რომ ამივარდა კანკალი, ~ბერ უკვე აგვისტოა და, ჯერაც ვერ ვიმაგრებ ხელში კალმისტარს: დოუშვებ ფურცლის თავში — ისკუპებს ბოლოში! მეორე ხელს შევაშველებ და — ხაერთოდ გადახტება მაგიდიდან! რაის წერილს დავწერდი ასეთ პირობებში! აი, რაი ვქენით, გოგო?! აი, რაი ჩვენიდინეთ?! ქე არ გადავწვით და გადავბუგეთ ეს ჩვენი ხაფიცარი დედათბილისი!

იმფერია, გოგო, რუსთაველი, იმფერია, რო ნახო, ველარ იცნობ, გული დაგეთუთქება! სანაყინე რომ იყო, „პადაროჩნის“ გვერდით, იქედან მოყოლებული, რესტორან „თბილისის“ ჩათვლით, დანახშირებულია ყოლისფერი!.. მაგრამ არაფერზე ისე გული არ დამწყვეტია, ანეტა ჩემო, რავარც კაფეზე, გოგო! კაფეზე, ქე რო რუსთაველის თეატრის გვერდით იყო! რამდენჯერ მე და შენ იქანა ყავა დაგვილევია, რამდენჯერ ერთმანეთისთვის გული გადაგვიხსნია!.. სადღა გადავხსნათ აწი, სადღა დევიჩივლოთ?! მოგვიშალეს ბუდე, გაგვთიშეს, გადაგვრიეს, გადაგვკიდეს ერთმანეთს!.. არც ერთი სრულ ჭკუაზე აღარ ვართ!.. ქუჩაში, სახლში, ხამხაბურში — ყველგან ისეთი დავა-კამათი, იმფერი კბენა-ღრენაა გაჩაღებული, თავი უცხო ქვეყანაში გეგონება! სადღაა ის ჩვენი კაი ქართული ღიმილი, ის ჩვენი კაი ქართული „გამარჯობა“?! მოჩვენებითი იყო თუ რაცხა იყო, ამ ავტომატების კაკანს მაინც ჯობდა!

ისე, ყველაფერს ეჩვევა თურმე ადამიანი! ამ იარაღიანებს, წინეთ რომ ვუფრთხოდი, ახლა ავტომატით თუ არ არის ხელდამშვენებული, კაცად ველარც კი აღვიქვამ ვერავის! ის კი არა, გარჩევაშიც ქე შევედი! „კალაშნიკოვი“, მაგალითად, რომც მაჩუქონ, არ მინდა! — ტლანქია, რაღაცნაირად უშნო და მოუხეშავი, ხაზოგადოებაში არ გამეიჩინება! იგი მომწონს მე, მეორე რომაა, მოკლეტარიანი! — კობტაა, მოხდენილი, ელეგანტური! იმით გამოჩენა არსად არ შეგრცხვება ადამიანს! მაგი რო ხელში ჩამაგდებია, ანეტა ჩემო, ხულ ხეტყუვასავით გადოუვლიდი ამ ჩვენს ცრუ, კრიმინალურ ინტელიგენციას! რავა გაგვაბითურეს, გოგო, რავა ისარგებლეს ჩვენი პოლიტიკური უმწიფარობით, ჩეიგდეს ხელში ზნეობის სადავეები და კინაღამ უფსკრულში არ გადაგვჩეხეს?! იმას ვაპატიებ, რაც მაგათ ნაწარმოებებზე ალალი ცრემლი დამიღვრია, უნა-

ზესი და უფაქიზესი განცდები მწვევია, ავმაღლებულვარ, გავკეთილშობილებულვარ, ჩემი ქალობა, ჩემი ქართველობა გამხარებია?! ამ დროს ესენი იმპერიის სამსახურში ყოფილან თურმე ჩამდგარი და 24 საათი იმას ფიქრობდნენ, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოსთვის კვანტი რაფრა გამოეკრათ!.. მაინც რა ღმერთი გოუწყრათ, გოგო?! ასე ყველამ ერთბამად ზურგი რაფრა გვაქცია, რაფრა გადაგვიდგა?!

მაგრამ, იცოცხლე, მე მაგათზე ჯავრი ვიყარე!! გამომეცხადა ამას წინეთ ის ჩემი ძველი თაყვანისმცემელი, იცი შენც, ჩვენებური რომაა, მიწის გათხრის მეცნიერი, მისი დღე და მოსწრება დინოზავრის ნაკვალევს რომ ზომავს სათაფლიაში, — უნდა გეკითხო, დინოზავრს ფეხზე ეცვა რამე თუ არაო?! ამ დროს თვითონ, რაც თავი მახსოვს, სულ ძველი ფეხსაცმლით დაიარება მაგ საცოდავი! ჩამივარდა მუხლებში, — ცოლად უნდა გამომყვეო! — ვის დაკარგვიხარ, შე გლახა-მეთქი?! — ვუთხარი! — ავტომატის ხმარება შენ არ იცი, ფირმა შენ არ გაგიხსნია და ერთობლივი საწარმო, დაცვით შენ ვერ დამიცავ და შენახვით შენ ვერ შემინახავ, სხვაი, აბა, რიღაიზა მკირიხარ-მეთქი?! მიტკლის ფერი დაედო, გოგო! — თავს აღარ ვიცოცხლებო! — თქვა და გოუჩინარდა მტკვრის ნიაბართულებით!.. ვის რაში ჭირია დღეს მეცნიერი?! ავტომატიანებში უნდა ვეძიოთ გულისსწორი საქართველოს მანანებმა! მაგათია დღეს ყოლისფერი!..

არიქა, გოგო! დეიწყო გონია! აკაკანდნენ! ატეხეს სროლა! მაპატიე, ანეტა ჩემო, უნდა მიგიტოვო ეპისტოლე, ქუჩაში უნდა გავვარდე, ქუჩაში! ერთი მებრძოლი რაინდი დევიგულე იქანა! თუ ბედმა გამიღიმა, დღევანდელ ბრძოლას გოდოურჩა და ჩემს ფაქიზ გრძნობას ხელი არ კრა, ღმერთის შეწევნით, ეგების დაწყვილებულები მოვბრუნდეთ უკან და ერთად, ოთხ ხელში დაგიმთავროთ ეი წერილი! გავშაი ახლა უკანმოუხედავად! გკოცნი!

მარად შენი უკანობი მეგობარი ეუეუნა!

სიზმარი

(მიხეილ ზოშჩენკოს მიბაძვით)

რა არის მაინც ეს სიზმარი! ან საიდან მოდის, ან რას გვანიშნებს?! რამ დამასიზმრა ეს საშინელება?! არც კი მახსოვს, რის რიგში ვიდექი, უცებ ვიღაცის ყვირილი ისმის: „დამლუპეს! დამაქციეს! მთელი დღის ამონაგები წამგლიჯეს! რას მიკეთებენ სამართალდამცავი ორგანოები?! რით ვერ აულაგმავთ ამ კრიმინალების თარეში?!"

„ვინ უნდა ალაგმოს, ვის სცალია ჩვენთვისო?!" — შემოსძახეს აქეთ-იქიდან და, ამ ხელსაყრელი შემთხვევის გამო, საპროტესტო მიტინგის გამართვა დააპირეს, მაგრამ არ დასცალდათ, — შემთხვევის ადგილზე ავტომატებით ხელდამშვენებულ სამართალდამცავ პირთა ოპერატიული ჯგუფი გამოცხადდა, თან გაურკვეველი ჯიშის ძაღლი მოიყოლიეს. დიდი უშნო რამე იყო. პირი ალიკაპით ჰქონდა აკრული და არაჭართული სიავით აკვესებდა თვალებს!..

„პანიკას რატომ ქმნით, მოქალაქე?!" — იკითხა სამართალდამცავმა პირმა. „ახეო და ისეო", — მოახსენა კომერციული მაღაზიის გამყიდველმა. სამართალდამცავმა პირმა ცუგრიას ალიკაპი შეეხსნა და უბრძანა: „ეძებე!" ცუგრიამ კისერი წაიგრძელა, ჰაერი დაუნოსა, ვიღაც ჭაღარა ქალბატონს მიადგა და შეუღრინა. ქალბატონმა გაცლა დაპირა. მაგრამ ძაღლი კაბის ბოლოში ჩაეკიდა, — „ეგეთები არ იყოსო!" გაფითრებული ქალბატონი ალაპარაკდა: „ამონაგები თანხისა არაფერი ვიციო!" „ეგ ხეტაკი ცხოველი უმიზეზოდ არ მოგადგებოდაო!" — თვალები დაუბრიალა სამართალდამცავმა პირმა, „მაშინ ჩემს ცოდვებზე მოგახსენებთო!" — გაბუყდა ჭაღარა ქალბატონი, — „ფასების ლიბერალიზაცია ბოროტად გამოვიყენე. მთავრობამ რომ აუშვა და აუშვა, მე სულ ბოლომდე გავრეკე!.. აბა, რა მექნა?! სამი შვილი მყავს სარჩენი!" სამართალდამცავმა პირმა თავი გაიქნია და ჭაღარა ქალბატონი აიყვანეს, ცუგრიას კი ძებნის გაგრძელება უბრძანეს. ცუგომ ისევ დაუნოსა ჰაერი და ამჯერად ხანდამბანი გრეგნობის მამაკაცს მიადგა: „უნამუსო ვიყო, თუ თავი ძალით არ მომაკვლევინა!" — არ დაფიცა მამაკაცმა, — „რამდენი რამ ვეხვეწე, მარტოხელა ქალი ხარ, ცალი ფეხი სამარეში გიდგას, ამხელა ბინა რად გინდა, ერთოთახიანს გიყიდი, ვილრე ცოცხალი ხარ, შვილივით მოგივლი. ჩიტის რძეხაც კი არ მოგაკლებ-მეთქი! შენც არ მომიკვდე! „ხადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, სულიც იქ უნდა დავლიოო!" — დაიჩემა. მისი სიჯიუტით გულმოკლულმა, სოკო უყვარდა და ამით ვავაბშმე. აბა! რა ვიფიქრებდი, შხამიანი თუ იქნებოდა?!" ცხადია, აიყვანეს. ძაღლი კი უკვე მდიდრულად გამოწყობილ, ლამაზ ქალბატონს აყოლებდა მისი კარგი ქალობის ამბავს: „გერმანიის ნაწყალობები ის ფხვნილი ახ ბავშვს დიდხანს მაინც არ ეყოფოდა, ძლივს წყლიან ფაფას დავაჩვიე! დროებით რძიანზე გადამეყვანა, მერე ისევ წყლიანზე გადმომეყვანა, ბავშვები ცოდონი იქნებოდნენ! უფრო ბუმანურად ჩავთვალე, ეს ბუმანიტარული დახმარება კომერციული მაღაზიებისათვის გამეწია და დამირჩინენ კიდეც დიდად ქმაყოფილნი!"

ცხადია, ლამაზი ქალბატონიც აიყვანეს, მაგრამ სამართალდამცავი პირიც და დამსწრე ხალოგადოებაც აშკარად ანერვულდნენ — ფორმაში შესული და მორჩილებიდან გამოსული ცუგო უმართავი ხდებოდა!.. ახლა გასაპარავად მომზადებულ დაზარალებულს სწვდომოდა წვივში, რამაც ამ უკანასკნელს ადრე მოცემული ჩვენება რადიკალურად შეაცვლევინა: „რა კრიმინალები, რის კრიმინალები?! ამონაგები თანხა მე მივთვისე, მაღაზიის მეპატრონისათვის წილის მოტეხვა როგორ შემერჩინა?! ავდექი და, კვარტალში ერთხელ, მაღაზიის ფიქტიური გაძარცვები შემოვიღე! ახლა, რაკი ჩავვარდი, მითვისებულ თანხას უკან მოგართმევთ!" მაგრამ სამართალდამცავ პირს მისთვის აღარ ეცალა, ცუგო ახლა მას მისდგომოდა და ხორცს აგლეჯდა!..

„თავი დამანებე, შე მართლაც ძაღლიშვილო, შენა! იყო დრო, მეც პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, თავგამოდებით ვებრძოდი დამნაშავე ელემენტებს. რის შედეგადაც ისინი სულ უფრო მაღლა მიიწევდნენ ამ გაუკუღმართებული ცხოვრების საფეხურებზე, მე კი ორგანოებიდან დათხოვნა დამიპირეს! ასეთი უსამართლობა ყელში ამომივიდა, მეც დავიწყე აღებ-მიცემა. წელში გავსწორდი, კაცად ვიქეცი, ქალებმა შემიყვარეს, ქალებმა! გესმის, ეს რას ნიშნავს, შე მართლაც პირუტყვო, შენა?! ჰოდა, მაცალე, ცოტა ხანს მეც მაცხოვრე ადამიანურად! შენც მოგებული დარჩები! ხომ არ გგონია, ხახელმწიფო ულუფაზე მყოფი, მაგ ვაუკაცურ ალნაგობას შეინარჩუნებ?! გირჩევნია, კაცურად მოვრიგდეთ!" გაგიუდა, გადაირია ცუგო, დუნდულოში სწვდა სამართალდამცავ პირს და უთუოდ მოჰკამდა კიდეც, განწირულს რომ არ ემარჯვა, დუნდულოს ნაწილის შეწირვით თავი რომ არ დაეხსნა და ხაკუთარი ფეხით არ მიერბინა აყვანილებთან!..

„არიქა, ქართველებო! თუ არ შევერთდით და არ ჩავაძაღლეთ ეს ოხერი, ყველას ჩაგვიშვებს!" — იყვირა მან.

„დიახ სწორედ ის დროა, ხელი ხმალს ვიკრათ!" — დაუმატა მეორემ. „ძალა ერთობაშია!" — შეახსენა მესამემ და... შეერთდნენ, შეიკვრნენ ქართველები, ვაუკაცური შემართებით ეკვეთნენ ამ საშინელ მოჩვენებას და მოაშთეს, მოსრეს, აღგავეს პირისაგან მიწისა!.. გამარჯვებით გახარებულებმა ხელები ხელებს გადააჭდეს და ომახიანად შემოსძახეს — „არ გაიხა

ხალხური

მე ინსტიტუტში იმ დროს ვსწავლობდი, როცა ლენინ-სტალინის დიადი დროშით და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით კომუნიზმი უნდა აგვეშენებინა!

სწავლა უფასო და სავალდებულო იყო. რადგან სავალდებულო იყო, ყველას უნდა ესწავლა და დაემთავრებინა! ყველა ამთავრებდა და დიპლომს იღებდა, მაგრამ ყველა ნასწავლი არ იყო! ამას ჩვენ ჯგუფელებზე მოგახსენებთ, თორემ სხვის ჯგუფში რა ხდებოდა, აბა, მე რა ვიცი?!

სწავლის ხარისხის მიხედვით ჩემი ჯგუფის სტუდენტები სამ ბირთვად უნდა დავყო: პირველ ბირთვში გავაერთიანე ის სტუდენტები, ძალიან კარგად რომ მეცადინეობდნენ, ნებისმიერ საკითხზე შეეძლოთ მსჯელობა, მარტო ქართული ლიტერატურით არ იფარგლებოდნენ, რუსულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებშიც იქექებოდნენ. აკი კარგი სპეციალისტებიც გამოვიდნენ და გვასახელეს კიდეც. მეორე ბირთვი სწავლობდა იმას, რასაც ასწავლიდნენ, სპეციალობის იქით არ იყურებოდნენ. ესენიც პატიოსანი და კარგი სპეციალისტები დადგნენ. მაგრამ, აი, მესამე ბირთვზე კი რა მოგახსენოთ! — მათთვის არც ლექცია იყო და არც სემინარი, არც რვეული და არც წიგნი!.. ჩათვლებისა და გამოცდების პერიოდში გამოჩნდებოდნენ და მაშინ იკითხავდნენ, რა გვარის ლექტორი რა საგანს ასწავლიდათ!.. ჩამოწერდნენ სიას და დაიწყებდნენ ლექტორის სუსტი მხარეებისა და მისი ნაცნობ-მეგობრების ძებნას!.. ჩაწყობითა და ძმაბიჭობით, ხანაც ფულითა და საჩუქრებით ხურავდნენ სემესტრს და კურსიდან კურსზე გადადიოდნენ!.. აბა, რა სპეციალისტები ისინი იქნებოდნენ და არც არიან, მაგრამ რაც ერთმა ჩემმა ჯგუფელმა ჩვენს მათემატიკის ლექტორს — ბატონ გრიშას გაუკეთა, მსგავსი არაფერი გამიგია! მართალია, ბატონი გრიშას დახასიათებაში, რომელსაც ინსტიტუტის სამეული (რეტქორი, პარტკომი და პროფკომი) აწერდა ხელს, ამოიკითხავდით, რომ იგი „უანგაროდ ემსახურებოდა თავის საქმეს“, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა, ჭრთამი ან საჩუქარი აეღო და უცოდინარი სტუდენტები კურსიდან კურსზე გადაეყვანა!..

ისე, კაცმა სიმართლე უნდა თქვას: ბატონი გრიშას ლექციებს ნაკლებად აცდენდნენ. მოსწონდათ მისი ენამახვილობა და სხარტი იუმორი, სახალისო მათემატიკისა და სხვადასხვა თავსატეხების ლექციებზე გამოყენება, რაც ბუნებრივად უწყობდა ხელს აუდიტორიის განმუხტვასა და სტუდენტთა გონებრივ შესვენებას. მაგრამ ის სტუდენტი რა სტუდენტია, თუ გამოცდის დაწყებამდე არ შეისწავლა გამომცდელის ბუნება და ხასიათი?! ამჯერადაც ასე მოხდა.

გამოცდის წინდღეს, ბატონ გრიშასთან შინ ჩემი ერთი თანაჯგუფელი, მესამე ბირთვის წარმომადგენელი მივიდა. კარი გრიშამ გაუღო.

— ბატონო გრიშა! — მიმართა მან, — მე თქვენი სტუდენტი ვარ! — თან იღლიაში ამოჩრილ, შეფუთულ საკოსტიუმეს მეორე ხელს აშველებდა, ძირს რომ არ დავარდნოდა!..

— რა არის ეს, ბიჭო?! — ჰკითხა ბატონმა გრიშამ და შეფუთულზე მიუთითა.

— ხვალ გამოცდა მაქვს და პატარა საჩუქარი მოგართვით! — წაილუღლუღა სტუდენტმა და შეხვეული გაუწოდა.

— რატომ წუხდებოდით?! — ვითომ გაცხარდა ბატონი გრიშა, — ვერაფერი ვერ ისწავლე?! გაგიჭირდა?!

— გამიჭირდა, პატივცემულო, ძალიან გამიჭირდა და დამეხმარეთ! — ეხვეწებოდა მათხოვრის როლში მყოფი ჩემი თანაჯგუფელი.

— კარგი, კარგი! — შეაწყვეტინა ბატონმა გრიშამ, — მითხარი გვარი, ჯგუფი! — და შეხვეული გამოართვა.

მეორე დღეს, გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ჩემმა თანაჯგუფელმა ბატონი გრიშას ბინის კარებზე დარეკა ზარი. კარი გრიშას მეუღლემ გაუღო.

— ბატონმა გრიშამ გამომგზავნა, — მორიდებით მიმართა დიასახლისს, — გამოცდის შემდეგ მკერავთან მინდა წავიდე და ის საკოსტიუმე გამომიგზავნე, გუშინ რომ მომიტანესო!

სტუდენტმა საკოსტიუმე წამოიღო და მკერავთან მიიტანა!..

ეთერ ბეჭანიშვილი.

— ეს არის ფეკვნი ახალი დირექტორი!

— არა, ეს დირექტორის მოადგილეა, მოადგილის მოადგილეა!

— პირველად ვხედავ, მოადგილის მოადგილეს რომ თავის მოადგილეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საამური ცხოვრება“ და „დამპალი კაპიტალიზმი“

იყო დრო, გული მღეროდა:
„საამურია ცხოვრება!“
ვლოცავდით მის დამფუძნებელს
და ვუსურვებდით ცხონებას!

„იქით (ხელს უკან ვიშვერდით)
წუხს ხალხი, კარგი არ ისმის!..
რის საამური?! წელში სწყვეტთ
„დამპალი კაპიტალიზმი!“

„დამპალი კაპიტალიზმი“
(ზოგი ძირმომპალს ეძახდა!)
გვეზიზღებოდა საშინლად,
ჩვენ კომუნიზმი გვეწადა!

კომუნიზმს ვაშენებდით და
ისმოდა ჩვენი „რაშოვდა“!..
...რამდენიც დავუახლოვდით,
ჰორიზონტივით დაგვშორდა.



ნახ. ჯ. ლოლუასი



— საით მირეკავ, კაცო?! რა დროს მაღაზიის დაკეტვა იყო, წამალი გვჭირდება სასწრაფოდ, ავადმყოფი გვაკვდება ხელში!..

— ხვალამდე მაცალეთ როგორმე! აეროპორტში მეჩქარება, ამერიკიდან ჰუმანიტარული დახმარება ჩამოხულა და საქონელი უნდა მივიღო!

ისე, რომ შეგვრჩა ოცნება!
ახლა სულ სხვა დრო დაგვიდგა:
„დამპალი კაპიტალიზმი“
სამაგალითო გაგვიხდა!

„იქით“ გავედით, ვერ ვნახეთ
ცხოვრების დონე დაბალი,
ფაუგებარი დაგვირჩა
რას ნიშნავს სიტყვა „დამპალი“?!

დამთავრდა ბრძოლა მრავალწლის,
კაპიტალიზმმა აჯობა!..
დმერთო, გვატარე სწორი გზით,
შორს — ეშმაკობა, ქაჯობა!..

ვამრავლდა ჯიხურ-დუქნები
ზეაწეული უფლებით
და მოგებაზე ლაშქრობამ
ვაფანტა ზეცის ღრუბლები!..

ჯიხურ-დუქნები აივსო,
სურსათი დადგა გორადა,
შაგრამ ფასები?! —
ნუ იტყვით! —
ვინ მოგცემს ერთიორადა?!.

ლალი მარტაშვილი



— სამას მანეთად მოგცემ ბენზინს, თუ გინდა!
— მანქანიანად?!.



— ამპიცილინსა და გიოკსიზონში 85 მანეთს გადაიხდით!
— რამხელა ფასებია?! ვაიმე, გული შემიღონდა!..
— ვალერიანის წვეთებისათვის 15 მანეთსაც დაამატებთ!..

ᲒᲣᲪᲘᲐ



— როგორა ხარ, ბიჭო?
— როგორ ვიქნები?! დედ-მამა სამსახურშია, მე კი ჭიქის მომწოდებელიც არ მყავს!..



— ეს ძეხვი იუიდება?
— არა, ყარს!..

ფულიანქოფლი

— ერთი კაციღა დარჩა! — მოახსენა მდივანმა ქალმა.

— შემოვიდეს ბარემ!

— შემოვიდა დაბალი, სკვინჩასავით კაცი.

— თქვენი გვარი?

— ხვალიძე, ბატონო, ვალიკო ხვალიძე!

— აჰ, ხვალიძე, ხვალიძე! მახსოვს თქვენი განცხადება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფრით გაგახარებთ, მაგ ადგილზე ჩვენ კაცებს არ ვღებულობთ, მხოლოდ ქალებს ვღებულობთ!

— აგაშენათ ღმერთმა! დიდი მადლობა, ჩემო ბატონო!

თქვა სკვინჩამ და წამოდგა.

შეცბა დირექტორი!.. არ მოელოდა ასეთ პასუხს! რა არ გაიფიქრა წამში, რა არ განჭვრიტა, — ეგებ მიჩივლოს კიდეცო!..

— კი მაგრამ, მადლობას რაზე მიხდით?!

— კაცად რომ ჩამთვალეთ, ბატონო! — წარმოთქვა სკვინჩამ და ამაყად გადახედა ახალგაზრდა, მომხიბვლელ მდივან ქალს.

გოგია წარბა

საქართველოს მტერია!..

ამბობენ: „ამღვრეულ წყალში
თევზი ედება ბადესო,
ბედი არასდროს არ წყალობს
დაბეჩავებულ ქართველსო!..
მომრავლდა უსამართლობა,
შური, ჭრთამი და სატანა!..
გადაიღალა ქართველი,
არ ძალუძს მეტის ატანა!..
სამართლისათვის ბრძოლაში
ავტორიც გახდა ტანჯული,
ვერც ადრე ნახა დაღლილმა
სამართლიანი მსაჯული!
მთავრობის სახლთან ჩამოჯდა
და მწარე ფიქრებს მიეცა!..
ნეტავ, რად ვგავართ დღეს ხალხი
მიწაზე მცოცავ ჭიებსა?!
ფულს დაეკარგა დღეს ფასი
და ოქრო გახდა გრძნეული,
უფულოს გთვლიან გლახაკად,
დადიხარ წელგათრეული!..
წაქცეულ ძროხას წააგავს
ჩვენი მამული დღესაო!..
ზოგი სუკს აჭრის, ზოგი — ქონს,
ზოგიც — სამწვადე მჭლესაო!..“
ავტორი უცებ წამოდგა,
თვალში ჩაუდგა ნათელი
და თქვა: „მტერ-მოყვრის ალერსში
გავიდა უკვე ეს წელიც!
მაფიოზებთან ბრძოლაში
ჰუმანურობა არ შველის,
ახლა მართლწესრიგს სჭირდება
ფოლადის უდრეკი ხელი!
დღეს ვინც ქურდობს და ქრთამს იღებს,
აქრობს მშობლიურ კერიას,
ის არის ჩვენი ხორცმეტი,
ის საქართველოს მტერია!“

ივანე ოსეფაიშვილი

ჟურნალი „ნიანგი“
№ 15-16. (1666) გამოდის 1923 წლის იანვ. სიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბურიან ახალაძე, ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჯახუა ამირეჯიბი, ნომადი ბარათაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ ფალავანდიშვილი, რევაზ ფიშველიძე, ალექსანდრე სანაია, ბელა სახარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფურია.

ტექნიკური რედაქტორი
გიორგი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 17.07.92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.10.92 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,6. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. შეკვ. № 1310. ტირ. 63 000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტშუმაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42.

ფასი 5 მან.

ინდექსი 76137

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უწარწერო

ნახ. ვ. კუტიანი

— გამპარსავ?
— ტყავსაც არ გაგაძრობ?

ნახ. ბ. ლომიძისა

...ყვავს „არ ჰქონდა", ბუს გაჰქონდა!..